

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ანთროპოგენური
ზემოქმედების როლი ნიადაგების დეგრადაციასა და ეროზიულ
პროცესებზე

ქეთევანი ნაპირელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გეოგრაფიისა და
GIS ტექნოლოგიების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS
ტექნოლოგიები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯანელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

სარჩევი

ანოტაცია -----	2
შესავალი -----	3
I. ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორები -----	5
§ 1. ზოგადი ცნებები ნიადაგების შესახებ -----	5
§ 2. ნიადაგის დეგრადაცია და გამომწვევი მიზეზები-----	7
§ 3. გეოლოგიური აგებულება და რელიეფის თავისებურებები-----	8
§ 4. კლიმატური პირობები და ჰიდროგრაფიული ქსელი-----	9
II. ნიადაგების ტიპები და გავრცელება-----	12
§ 5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ნიადაგების ტიპები და მათი გავრცელება -----	12
III. ნიადაგის ანთროპოგენური გარდაქმნები და კლიმატის ცვლილების გავლენა ნიადაგზე -----	17
§ 6. ადამიანის სამეურნეო საქმიანობა -----	17
§7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილი კლიმატის ცვლილების გავლენა ნიადაგებზე -----	29
I. ნიადაგის ქიმიური ანალიზი -----	32
§8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ნიადაგების ანალიზი და მათში ქიმიური სასუქების გამოყენება -----	32
§ 9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ნიადაგებში გამოყენებული ქიმიური სასუქების როლი, სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასთან მიმართებაში-----	36
დასკვნები და რეკომენდაციები -----	40
გამოყენებული ლიტერატურა -----	47
დანართები -----	

ანოტაცია

სამაგისტრო თემა მოიცავს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ ნიადაგის დეგრადაციისა და ეროზიული პროცესების ჩასახვა – განვითარების პრობლემას. აღნიშნული პრობლემა მეტად აქტუალურია, რადგანაც ნიადაგის დეგრადაციისა და ეროზიის (ძირითადად მდინარეული) პროცესი მზარდია, მოიცავს როგორც კერძო პირების, ისე გურჯაანის მუნიციპალიტეტის განკარგულებაში მქონე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტერიტორიებს.

სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მიზანია ავტორის მიერ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ნიადაგების წარმოშობის, მათი ბუნებრივი და ანთროპოგენური გარდაქმნების, ნიადაგების ქიმიური ანალიზის, მათი ნაყოფიერების კვლევის, ნიადაგების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი გეოგრაფიული ინტერპრეტაცია.

ამ პროცესებისგან მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალი მნიშვნელოვანია და შეეხება, როგორც კერძო სექტორს, აგრეთვე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის განკარგულებაში მქონე მიწებს.

თემის აქტუალურობა ნიადაგი - ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, რომელიც ხასიათდება თავისი განსაკუთრებული თვისებით - პროდუქტიულობით, იგი წარმოადგენს ლანდშაფტის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ელემენტს და წარმოიქმნება ბუნების ძირითადი ფაქტორების მონაწილეობით: მიწის ქერქის ამგებელი ქანების, რელიეფის, კლიმატის, მცენარეული საფარის, ცხოველებისა (მიკროორგანიზმები) და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ნიადაგის გენეზისის, მდგომარეობის და ათვისების შესწავლა ამაყამად ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს და პრაქტიკულ-გეოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭება.